



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



24.01.2014

№ 3

# სარჩევი

|   |           |
|---|-----------|
| <b>საქართველო.....</b>  | <b>3</b>  |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „ხუდონჰესის“ თემაზე ლექცია გაიმართა .....                            | 3         |
| ავსტრიელი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით<br>დაინტერესდნენ.....              | 4         |
| <b>რეგიონი .....</b>  | <b>5</b>  |
| აზერბაიჯანის რომელი რეგიონია უკეთესი ალტერნატიული ენერჯის<br>განვითარებისათვის?.....                | 5         |
| თანერ ილდიზი რუმინეთსა და ბულგარეთს ეწვია .....   | 6         |
| 2013 წელს SOCAR-მა ექსპორტზე 24.23 მილიონი ტონა ნავთობი გაიტანა.....                                | 6         |
| <b>რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები .....</b>   | <b>7</b>  |
| რუსეთმა მიზნად დაისახა ენერგომომხმარებლის სწრაფი ზრდა .....   | 7         |
| ყაზახეთმა 2013 წელს ურანის წარმოება გაზარდა .....   | 8         |
| რუსეთი RAO UES-ის წილს ყიდის .....  | 9         |
| <b>ევროკავშირი .....</b>  | <b>10</b> |
| ევროკომისიის მიზანი ოკეანის ენერჯის განვითარებაა.....   | 10        |
| კვიპროსის ენერჯო განვითარება .....  | 11        |
| სერბეთმა 325 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების „ნოვი სადის“ პროექტი<br>დაამტკიცა.....                 | 12        |
| <b>მსოფლიო.....</b>   | <b>13</b> |
| ალჟირი მომდევნო 10 წელიწადში ბუნებრივი აირის წარმოების გაორმაგებას გეგმავს..                        | 13        |
| Rosatom-ის გეგმები ვიეტნამში შეჩერებულია.....   | 14        |
| იაპონია მსოფლიოში პირველი იწყებს თხევადი ბუნებრივი აირის ფიზიკურსული<br>კონტრაქტებით ვაჭრობას ..... | 15        |
| <b>ანალიტიკა .....</b>  | <b>16</b> |
| ევროპა პოლონეთში ფიქალის გაზის კომერციული წარმოების დაწყებას უახლოვდება 16                          |           |

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „ხუდონჰესის“ თემაზე ლექცია გაიმართა

23 იანვარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივამ“ (სიპი) პროექტ „ხუდონჰესის“ მშენებლობის თემაზე ლექცია გაიმართა.

ლექციაზე „სიპის“ ხელმძღვანელმა, ექსპერტმა ეკონომიკის დარგში, ლევან კალანდაძემ, სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ასპექტებზე და მათთან ერთად განიხილა ის სარგებელი, რომელსაც საქართველო პროექტის განხორციელების შედეგად მიიღებს. ლექციის მსვლელობისას, დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები და მიეღოთ ამომწურავი პასუხები.



საქართველოს  
ინფრასტრუქტურული  
პროექტების ინიციატივა

ლექციას ასევე დაესწრო ექსპერტი ეკონომიკის დარგში - ირაკლი ლექვინაძე.

„საქართველოში მსხვილი ჰესების პროექტების განხორციელება არის ქვეყნის განვითარების შანსი. მე ცალსახად მიმაჩნია, რომ საქართველოში ხუდონჰესი და სხვა მსხვილი ჰიდრო პროექტები უნდა აშენდეს. ვფიქრობ ამას ალტერნატივა არ აქვს. წარმოიდგინეთ, 90-იან წლებამდე რომ მოხერხებულიყო ხუდონის პროექტის გაშვება, რამდენად წინ ვიქნებოდით განვითარების კუთხით. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა თაობას მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული პროექტისა და იმ სარგებლის შესახებ, რასაც „ხუდონჰესის“ აშენების შედეგად მივიღებთ“ - განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

„ჩვენ დღეს მოგვიწევს არჩევანის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით წავალთ. ან ავაშენებთ ხუდონჰესს და საქართველო აქცენტებს განვითარების, პროგრესის სასარგებლოდ გააკეთებს, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში ეკონომიკა და ბიზნესი უნდა განვითარდეს, შეიქმნას ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, მოზიდულ იქნეს უცხოური ინვესტიციები; ან უარს ვიტყვით ხუდონის მშენებლობაზე და ჩვენ, მთელი

საქართველო, ერთ ადგილას, ერთ დონეზე „გავიყინებით“. სწორედ ამ არჩევანის შედეგებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება დღეს სტუდენტებთან შეხვედრის დროს, რადგანაც მათი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია" - განაცხადა ლექციის დასრულების შემდეგ ლევან კალანდაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია მსგავსი ტიპის შეხვედრების გამართვას უნივერსიტეტებში სამომავლოდ გეგმავს.<sup>1</sup>

## ავსტრიელი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდნენ

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფ ავსტრიელ ბიზნესმენებს: ფლორიან კნეიდინგერს, როლფ თეუერსა და ბენ სალმ-რეიფფორშიდტს შეხვდა.



ფონდის ხელმძღვანელობამ სტუმრებს გააცნო ფონდის მისია, მუშაობის პრინციპები და პრიორიტეტული სექტორები. „ჩვენი ინტერესის სფერო სოფლის მეურნეობის, წარმოების და ინფრასტრუქტურის გარდა არის ასევე ენერჯეტიკა. ამ სფეროში ჩვენ რამდენიმე მსხვილი პროექტის განხორციელებაზე ვმუშაობთ. მათ შორისაა: 210 მეგავატიანი ნენსკრას, 270 მეგავატიანი ონის და ასევე 230 მეგავატიანი გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტები,“ – აღნიშნა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნათია თურნავამ.

ფლორიან კნეიდინგერის განცხადებით, მათი ინტერესის სფერო განახლებადი ენერჯიებია. „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ განვახორციელოთ 10-30 მეგავატიანი ჰიდრო ენერჯო პროექტები და ამ მიზნით ვიმყოფებით საქართველოში, რათა ადგილზე შევისწავლოთ ბაზარი და მისი შესაძლებლობები,“ – განაცხადა კნეიდინგერმა და დასძინა, რომ მათთვის საქართველო საინვესტიციოდ ძალიან მიმზიდველი ქვეყანაა.

ავსტრიელი ბიზნესმენები წარმოადგენდნენ PRESSBURG PARTNERS-ს, ავსტრიულ მსხვილ კომპანიას, რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს განახლებად ენერჯეტიკულ პროექტებში და კონსულტაციებს უწევს ინვესტორებს. კომპანია წარმატებით ახორციელებს პროექტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის: რუმინეთში, ესპანეთსა და სლოვაკეთში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> [http://bpi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=21699%3A---qq---&catid=49%3A2011-11-06-16-56-03&lang=ka](http://bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=21699%3A---qq---&catid=49%3A2011-11-06-16-56-03&lang=ka)

<sup>2</sup> <http://commerciant.ge/?page=news&id=5975>

### აზერბაიჯანის რომელი რეგიონია უკეთესი ალტერნატიული ენერჯის განვითარებისათვის?

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა აზერბაიჯანის რეგიონების ჩამონათვალი, რომლებიც პერსპექტიულია ქარისა და მზის ენერჯის განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ელბრუს ალიზადემ „ტრენდს“ განუცხადა, აზერბაიჯანს აქვს მზისა და ქარის ენერჯის გამოყენების ბაზა.



მისი თქმით, ქარის ენერჯის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტიული ტერიტორიები განთავსებულია კასპიის ზღვის სანაპიროზე ქალაქ შაბრანიდან ქალაქ სუმგაიტამდე (სანაპიროდან 40-50 მეტრი), გობუსტანის რაიონში, აფშერონის ნახევარკუნძულსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აღნიშნულ ტერიტორიებთან შედარებით ლიანკიარენის რეგიონში ქარის ენერჯის წარმოების განვითარების პერსპექტივები ნაკლებია.

“სხვა ოლქებსაც აქვთ თავიანთი საკუთარი შესაძლებლობები, მაგრამ პირველ რიგში, კარგი პირობებია დიდი კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთებზე. ეს ტერიტორიები მოიცავს ქალაქ მარაზს და შამახისა და გობუსტანის რაიონებს“, - აღნიშნა ალიზადემ.

მეცნიერმა ასევე აღნიშნა, რომ ერთიანობაში მტკვარ-არაქსის დაბლობს, აფშერონის ნახევარკუნძულს, გობუსტანის რაიონსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვთ მზის ენერჯის განვითარების კარგი პოტენციალი.

ალიზადემ თქვა, რომ ამ რეგიონებში მზიანი დღეების რაოდენობა 250-300-მდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ფოტოელექტრონული პანელების გამოყენება შესაძლებელია წელიწადის უმეტეს დროს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუტი ამჟამად აწარმოებს ფოტოელექტრონული პანელების ლანდშაფტზე გავლენის შესასწავლ კვლევებს.<sup>3</sup>

<sup>3</sup> <http://www.today.az/news/society/129818.html>



## თანერ ილდიზი რუმინეთსა და ბულგარეთს ეწვია

რუმინეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა დაასრულა შეხვედრები ბუქარესტში და ოფიციალური ვიზიტით ბულგარეთსაც ეწვია. შეხვედრების მიზანი რუმინეთიდან და ბულგარეთიდან იაფი ელ.ენერჯის შესყიდვის შესაძლებლობების განხილვა იყო.

თურქეთში ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში აშშ დოლარის ფასმა ძლიერ მოიმატა, რაც სამომავლოდ მოხმარებული ელ.ენერჯის ტარიფის გაზრდას გამოიწვევს. ამან ოფიციალური ანკარა აიძულა იაფი ენერჯორესურსების ძიებაზე გადასულიყო და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ილდიზის ვიზიტი რუმინეთ-ბულგარეთში.

უკვე მზადდება ორი პროექტი, რომლებითაც რუმინულ და ბულგარულ იაფ ელ.ენერჯიას თურქეთი სახმელეთო ხაზით და ასევე შავ ზღვაში გასაყვანი ხაზითაც მიიღებს.<sup>4</sup>

## 2013 წელს SOCAR-მა ექსპორტზე 24.23 მილიონი ტონა ნავთობი გაიტანა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR) 2013 წელს მსოფლიო ბაზარზე 24.23 მლნ ტონა ნავთობის ექსპორტი განახორციელა.

SOCAR-ის ცნობით, ნავთობის ექსპორტი 3 მარშრუტით - ბაქო-ნოვოროსიისკი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-სუფის მილსადენების მეშვეობით განხორციელდა. მათ შორის, გასულ წელს ბაქო-ნოვოროსიისკით 1.751 მლნ ტონა ნავთობის ექსპორტი მოხდა, ბაქო-სუფის მილსადენით ნავთობის ექსპორტმა 2.725 მლნ ტონა შეადგინა. ბაქო-



თბილისი-ჯეიჰანი მილსადენმა კი 19.748 მლნ ტონა ნავთობი გაატარა.

2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის ექსპორტი 2013 წელს 451 ათასი ტონით შემცირდა.

2013 წლის იანვრში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ექსპორტმა 1.429 მლნ ტონა შეადგინა, თებერვალში - 1.743 მლნ ტონა, მარტში - 1.411 მლნ ტონა, აპრილში - 1.83 მლნ ტონა, მაისში - 1.975 მლნ ტონა, ივნისში - 1.742 მლნ ტონა, ივლისში -

<sup>4</sup> <http://www.trtgeorgian.com/trtworld/gu/newsDetail.aspx?HaberKodu=b47d1c47-2bee-497e-8a0d-69fe0abee3fa>

1.706 მლნ ტონა, აგვისტოში - 1.637 მლნ ტონა, სექტემბერში - 1.415 მლნ ტონა, ოქტომბერში - 1.555 მლნ ტონა, ნოემბერში - 1.83 მლნ ტონა, დეკემბერში - 1.467 მლნ ტონა.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიგრძე 1768 კმ.-ია, რომლიდანაც თურქეთში 1076 კმ, აზერბაიჯანში - 443 კმ, ხოლო საქართველოში - 248 კმ. გადის.<sup>5</sup>

## რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

### რუსეთმა მიზნად დაისახა ენერგომოხმარების სწრაფი ზრდა

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ნოვაკმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მთავრობა დაარეგულირებს ქვეყნის ელექტროენერჯის სიმძლავრის განვითარების პროგრამას, რადგანაც ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით, 2035 წლისათვის ენერგო მოხმარება სავარაუდოდ 60%-ით უნდა გაიზარდოს.

ნოვაკის თქმით, ქვეყნის სტრატეგიას წარმოადგენს - ელექტროენერჯის წარმოებაში გაზის წილის შენარჩუნება, ქვანახშირის მოხმარების უმნიშვნელო შემცირება და ბირთვული ენერჯის წილის, არსებული 16%-დან 22%-მდე, გაზრდა.

ამავდროულად, მთავრობა ვარაუდობს ენერგეტიკულ სექტორში განახლებადი ენერჯის წილის გაზრდას 1%-დან 4-4.5%-მდე.



„ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პროგნოზზე დაყრდნობით, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ეკონომიკა 2035 წლისათვის 125%-ით გაიზრდება. მათ სტრატეგიულ პროექტზე დაყრდნობით, ენერგეტიკული სექტორის წილი ეკონომიკაში მხოლოდ 30%-იან ზრდას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, ერთის მხრივ

<sup>5</sup> <http://news.boom.ge/geo/11/20140110/3461309/>; <http://news.boom.ge/geo/11/20140109/3458687/>

ენერგოეფექტურობის გაზრდას და მეორეს მხრივ ნავთობისა და ენერგორესურსების უფრო სრულყოფილად გამოყენებას“, - აღნიშნა მან.

რუსეთის ენერგომომხმარებლის შესახებ ახალი მონაცემები მალევე გასაჯაროვდა, მას შემდეგ რაც BP-მ გამოაქვეყნა თვისი „ენერგეტიკული ანგარიში - 2035“ (Energy Outlook 2035).

„ინტერფაქსი“ იტყობინება, რომ BP-ს პროგნოზით, 2035 წლისათვის ნავთობის, გაზისა და ნახშირის წილი ელექტროენერჯის წარმოებაში იქნება 27%, მაშინ როდესაც ბირთვული უზრუნველყოფს ენერჯის 19%-ს.

ჩინეთი და ინდოეთი ვარაუდობენ, რომ მომდევნო 20 წლის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე შეინარჩუნებენ წამყვან როლს ენერგომომხმარებლის კუთხით. მაშინ როდესაც აშშ, კანადა და ევროპა დაინახავენ ენერგომომხმარებლის სტაბილიზაციას და 2030 წლიდან დაიწყებენ დაცემას.

საერთო ჯამში გლობალური ენერგომომხმარება 2015 წლისათვის გაიზრდება 41%-ით. BP-ს პროგნოზი გვეუბნება: „ყოველივე აღნიშნული ნათელს ხდის, რომ რუსეთის როლი განახლებადი ენერჯის წარმოებაში მნიშვნელოვანად დაბალია საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელთან შედარებით. როგორც BP ვარაუდობს, მწვანე ენერჯის 2035 წლისათვის მთლიან ენერჯიაში 14% -იანი წილი ექნება.“<sup>6</sup>

## ყაზახეთმა 2013 წელს ურანის წარმოება გაზარდა

ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიის Kazatomprom-ის განცხადებით, 2013 წელს ქვეყანაში ურანის მოპოვებამ 22 500 ტონა შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს სრულიად შეესაბამება. 2012 წელს კი მოპოვება 20 900 ტონა იყო.

კონტრაქტების მიხედვით (გარდა „სტეპნოგორსკის“ კომპლექსისა) ურანის კონცენტრანტის ექსპორტმა 23 400 ტონას მიაღწია. ყაზახეთი ამ დროისათვის კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციებს ურანის მოპოვების გლობალურ ინდუსტრიაში, რომელიც მთლიანი გლობალური მიწოდების 38%-ს შეადგენს, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში გამოხატულია 58 800 ტონა ურანის მოცულობით.



**KAZATOMPROM**  
NATIONAL ATOMIC COMPANY

<sup>6</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 697, 22 January 2014, Russia set for rapid growth in power consumption



2013 წელს კომპანია Kazatomprom-მა 12 600 ტონა ურანი მოიპოვა, რაც მსოფლიო მოპოვების 21%-ია, ხოლო მისი გაყიდვები წლის განმავლობაში 10 200 ტონა ურანის კონცენტრანტი იყო.

2013 წელს ტანტალის წარმოებამ შეადგინა 203.1 ტონა, ნიობიუმის - 50 586.6 ტონა, ხოლო ბერილიუმის - 1 913.1 ტონა.<sup>7</sup>

## რუსეთი RAO UES-ის წილს ყიდის

რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა Inter RAO UES-ის აქციების 13.76%-ის სახელმწიფოს მმართველობაში მყოფი ჰოლდინგის Rosneftegaz-ისთვის მიყიდვზე. Rosneftegaz-ი ენერგეტიკული გიგანტის Rosneft-ის მფლობელია.

გაყიდვის მიზანია Inter RAO UES-ის კაპიტალიზაციისა და საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება, რადგან კომპანია უცხოელი კრედიტორებისაგან ახალი კრედიტების მოზიდვას გეგმავს.



როგორც რუსეთის მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი, გარიგების ღირებულება 18,79 მილიარდ რუბლს (559 მილიონი აშშ დოლარი) შეადგენს.

Inter RAO UES-ის აქციონერებს, მათ შორის მოკლევადიან ინვესტორებსაც, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვთ, რაც უარყოფითად მოქმედებს კომპანიის კაპიტალიზაციაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, Rosneftegaz RAO UES-ის განვითარების მკაფიო გრძელვადიანი სტრატეგია აქვს და შესაბამისად, გარიგება მიმართულია კაპიტალიზაციისა და საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებაზე - ნათქვამია განცხადებაში.

აქციონერებს შორის არიან FGC UES-ი, გადაცემის სისტემის ოპერატორი, სახელმწიფო ქონების მართვის ფედერალური სააგენტო, Norilsk Nickel-ი, Rosatom-ი, Vnesheconombank-ი და RusHydro.

Inter RAO UES-ი ფლობს რუსეთში ელექტრო ენერჯის იმპორტისა და ექსპორტის მონოპოლიას. მისი ბიზნესი ასევე მოიცავს ელექტრო და თბო გენერაციას, ელექტრომომარაგებას და ენერგო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

<sup>7</sup> <http://en.trend.az/capital/energy/2233641.html>

კომპანია აკონტროლებს ენერგო აქტივებს სომხეთში, საქართველოში, ყაზახეთში, მოლდოვაში, ლიტვასა და ფინეთში, თბო და ჰიდროელექტროსადგურების და ქსელების ოპერირებისა და ელექტროენერგიით ვაჭრობის ჩათვლით.

Inter RAO UES-ი მთელი რიგი შიდა და უცხოური პროექტების განხორციელებისათვის გათვლებს უცხოურ დაფინანსებაზე აკეთებს. გასულ წელს ის საერთაშორისო კრედიტორებისაგან ახალი სესხების უზრუნველყოფაზე გადავიდა.

2013 წლის 19 დეკემბერს Inter RAO-მ და ING Bank-მა ხელი მოაწერეს 48.4 მილიონი ევროს (65.5 მილიონი აშშ დოლარი) სასესხო ხელშეკრულებას. სესხის მიზანია იუენო ურალსკის თბოსადგურის მეორე ბლოკისათვის Siemens-ისგან მოწყობილობების შეძენა.

ვერხნეტაგილსკის თბოელექტროსადგურის 420 მგტ-იანი მეორე ბლოკის მშენებლობის დაფინანსების მიზნით 2013 წლის 27 ნოემბერს კომპანიამ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა“ ხელი მოაწერეს 12 მილიადი რუბლის (357 მილიონი აშშ დოლარი) 7 წლიან სასესხო ხელშეკრულებას.<sup>8</sup>

## ევროკავშირი

### ევროკომისიის მიზანი ოკეანის ენერჯის განვითარება

ევროკომისიის ახალ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ევროპის ოკეანის ენერგო სექტორის განვითარებას უჭირავს. ევროკომისრების მარია დამანაკისა და გიუნტერ ოეტინგერის მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით, ევროკომისიამ უნდა შექმნას „ოკეანის ენერჯის ფორუმი“, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ზღვისა და ჰიდროკინეტიკური ენერჯების (MHK) სექტორში დაინტერესებულ მხარეებს, დამატებითი სიმძლავრეების აშენებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაზრდის მიზნით.

„ჩვენი ზღვებისა და ოკეანეების განახლებადი ენერჯის ასათვისებლად მოხდება ყველა იმ ტექნოლოგიის გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ევროკავშირის ემისიების დეკარბონიზაციას და ევროპას უზრუნველყოფენ ენერგო უსაფრთხოებითა და განახლებადი ენერჯით. ჩვენი „ლურჯი ზრდის“ სტრატეგიაში აღწერილია ის ეფექტები, რასაც ზღვებისა და ოკეანეების ენერჯია გვაძლევს. მათი გამოყენებით შესაძლებელია დიდი ეკონომიკური ზრდა და ესოდენ საჭირო სამუშაო ადგილების შექმნა. ამ სექტორის

<sup>8</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 697, 22 January 2014, Russia sells stake in Inter RAO UES

სრული განვითარების უზრუნველყოფა შესაძლებელია ინოვაციების ხარჯზე, რომელიც ევროპას სუფთა და განახლებად ენერჯიას მიაწვდის,“ - აცხადებს დამანაკი.



ევროკომისია ხაზს უსვამს MHK-ის პოტენციალს, თუმცა იქვე აღნიშნავს სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც გულისხმობს:

- ტექნოლოგიების მაღალი დანახარჯის დონეს;
- დაფინანსებაზე წვდომის სიძნელეებს;
- ინფრასტრუქტურულ ბარიერებს;
- ადმინისტრაციულ ბარიერებს;
- გარემოზე ზემოქმედების საკითხებს;<sup>9</sup>

## კვიპროსის ენერგო განვითარება

ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად აკვირდება კვიპროსის ენერგო განვითარებას და ნიქოზიასთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადადის, რომლის ფარგლებშიც, კვიპროსში ქვეყნის საგარეო და ენერგეტიკის მინისტრებმა იოანის კასულიდისმა და იორგოს ლაკოტრიპისმა ბუნებრივი გაზის სახელმწიფო კომპანიის Defas პრეზიდენტ ელენი ვასილიდუსთან ერთად შეხვედრები გამართეს „ენერგო დიპლომატიის“ მდივნის მოადგილე ამოს ჰომტინთან.

რეგიონის სხვა ქვეყნებში მიმდინარე განვითარების ფონზე, ჰომტინმა ენერგეტიკის დარგში კვიპროსის გეგმებისადმი დაინტერესება გამოთქვა და

<sup>9</sup> <http://www.hydroworld.com/articles/2014/01/european-commission-aims-to-increase-ocean-power-development.html>

კონკრეტული კითხვებით მიმართა მოპასუხე მხარეს. ძირითადად ყურადღება გამამხვილეს „ვასილიკოს“ თხევადი ბუნებრივი გაზის სადგურის მშენებლობაზე.

აშშ აქტიურად განიხილავს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ყველა შესაძლო სცენარს, განსაკუთრებით თურქეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ევკიპტეში მიმდინარე პოლიტიკური განვითარების გათვალისწინებით.

თვალნათლივ ცხადია ის ფაქტი, რომ ნიქოზიაში ენერგო საკითხები ქვეყნის „დღის განრიგის“ სათავეშია მოქცეული. ამას მოწმობს ისიც, რომ კვიპროსის მაღალი რანგის წარმომადგენლები მუდმივად ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს დაინტერესებულ მხარეებთან სექტორის განვითარებაზე. ამასთანავე, ქვეყნის პრეზიდენტი 6 მაისს ბერლინში დაგეგმილ ღონისძიებაზე უფრო დეტალურად გამოვა მოხსენებით, სადაც ენერგეტიკის საკითხებზე უფრო დეტალურად ისაუბრებს.<sup>10</sup>

## სერბეთმა 325 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების „ნოვი სადის“ პროექტი დაამტკიცა

სერბეთმა რუსეთის, სლოვაკეთისა და საბერძნეთის კომპანიებთან კონსორციუმის შექმნის პროტოკოლს მოაწერა ხელი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ქვეყნის ჩრდილოეთ ქალაქ ნოვი სადის თბოსადგურის განახლებასა და გაფართოებას გულისხმობს.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 271-325 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. პროექტის მიხედვით აშენდება ახალი ბუნებრივ აირზე მომუშავე კოგენერაციის თბოსადგური, რომელიც 400 მგვტ. ელექტროენერგიასა და 300 მგვტ. სითბოს გამოიმუშავებს.



კონსორციუმი შედგება შემდეგი კომპანიებისგან: რუსული Optima Energostroy, სლოვაკური GGE და ბერძნული Metka. პროექტი 2009 წელს დაიწყო და 2012-ში უნდა დასრულებულიყო. თუმცა 2009 წლის ბოლოს სერბულმა EPS-მა თბოსადგურის პროექტისთვის 15 ახალი პოტენციური ინვესტორი მოიზიდა სხვადასხვა ქვეყნიდან. 2010 წელს მათგან მხოლოდ 9 კომპანიას მიეცა შეთავაზების გაკეთების უფლება. რუსულ-

<sup>10</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=eaa17050-06a1-4f26-abf7-3edcba7e0806>



სლოვაკურ-ბერძნულმა კონსორციუმმა საბოლოო შეთავაზება 2012 წელს განახორციელა, თუმცა პოტენციურ სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის საკითხი ქვეყნის საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების გამო გადაიდო.

ახალი გენერატორის მშენებლობა 20-24 თვეზეა გათვლილი. სერბეთის ენერგეტიკის მინისტრის ზორანა მიხაილოვიჩის განცხადებით, მხარეებს შორის მოლაპარაკებები მარტში დამთავრდება და შეთანხმებას აპრილში მოეწერება ხელი. მისივე თქმით, მშენებლობა სავარაუდოდ 2014 წლის ბოლოს დაიწყება.

ქალაქმა ნოვი სადმა და EPS-მა ერთობლივი საწარმო Energija Novi Sad (ENS)-ის შექმნაზე გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნული პროექტზე პასუხისმგებელი იქნება. ENS პროექტისთვის უზრუნველყოფს შესაბამისი მიწების, ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების გამოყოფას, ხოლო ინვესტორი დაფინანსებას და ის შემდეგში პროექტის საკონტროლო პაკეტის მფლობელი იქნება.<sup>11</sup>

## მსოფლიო

### ალჟირი მომდევნო 10 წელიწადში ბუნებრივი აირის წარმოების გაორმაგებას გეგმავს

ალჟირის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ მომდევნო 10 წელიწადში ქვეყანა ბუნებრივი აირის გამოშვების 100%-იან ზრდას გეგმავს. ამის საფუძველი კი 2013 წელს აღმოჩენილი ახალი საბადოებია. მინისტრის განცხადებით, ქვეყანა 25-დან 30 ტრილიონ კუბურ ფუტამდე ბუნებრივი გაზის მარაგს ფლობს.

2013 წელს ალჟირში, 32 ახალ საბადოში, 550 მილიონი ტონა ნავთობის ექვივალენტი ბუნებრივი გაზის მარაგები აღმოაჩინეს, რაც 3-ჯერ მეტია, ვიდრე 2012 წლის აღმოჩენები.

„ალჟირი სერიოზულად არის განწყობილი გაზის წარმოების გაორმაგებაზე და ჩვენ მომავალში ზუსტად განვსაზღვრავთ რა რაოდენობის წარმოება შეგვიძლია. ასევე, ჩვენ გავქვს შესაძლებლობა



<sup>11</sup>NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 697, 22 January 2014, Serbia seals US\$325 million Novi Sad project



მომავალი დეკადის განმავლობაში გავაორმაგოთ ნავთობის წარმოება, რომელიც ამჟამად დღეში 1.2 მილიონ ბარელია,“ - განაცხადა მინისტრმა.


ალჟირი ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებელთა სიაში სიდიდით მესამე ქვეყანაა (რუსეთის და ნორვეგიის შემდეგ), მიუხედავად იმისა რომ მის ძველ საბადოებზე მოპოვება შემცირებულია. ალჟირის საბადოებზე მოპოვების კლება 2005 წლის პიკის შემდეგ დაიწყო, მაგრამ უკანასკნელი აღმოჩენები ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას იძლევა. ალჟირი მომავალში ევროპისთვის გაზის მიწოდების ზრდასაც გეგმავს.

ალჟირი უცხოურ კომპანიების ინვესტიციებზეა დამოკიდებული, მაგრამ კომპანიები თავს იკავებენ ალჟირში შექმნილი არასტაბილური კრიმინოგენული სიტუაციის გამო. მაგალითისთვის, 2012 წელს ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს საბადოზე თავდასხმის შედეგად 38 მძევალი მოკლეს.<sup>12</sup>

## Rosatom-ის გეგმები ვიეტნამში შეჩერებულია

ვიეტნამმა განაცხადა, რომ მისი პირველი ატომური ელექტროსადგურის (აეს) მშენებლობა ექვსი წლით გადაიდება.

კონტრაქტი აეს-ის მშენებლობაზე უკვე მოგებული აქვს Rosatom-ის სამშენებლო ფრთას. ვიეტნამის სამთავრობო მედიასაშუალებების მიერ 16 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის გადადების შესახებ ვიეტნამის პრემიერ მინისტრმა



ნგუენ ტანგ ზუნგმა განაცხადა, აპელირებდა რა უსაფრთხოებისა და ეფექტურობის სტანდარტების მაქსიმალური უზრუნველყოფის საჭიროებაზე. ზუნგმა უბრძანა ქვეყნის ნავთობისა და გაზის კომპანიას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს გაზის მიწოდება ბირთვული ენერჯის შეფერხების კომპენსაციის მიზნით.

განცხადება „Rosatom-ისთვის ცუდ დროს გაკეთდა. 9 იანვარს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან გამართულ შეხვედრაზე სერგეი კირიენკომ რუსეთის ლიდერს განუცხადა, რომ კომპანიას აქვს ხელშეკრულებები საზღვარგარეთ კიდევ ოცი ობიექტის მშენებლობაზე და მონაწილეობას იღებს ტენდერებში დამატებით ორმოცი ერთეულისათვის.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის საიტზეა აღნიშნული, კირიენკომ პუტინს განუცხადა, რომ „პირველადი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს ვიეტნამში სამშენებლო ობიექტის გეოდეზიური შესწავლა“.

<sup>12</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=cc853b62-d274-4afc-9c9b-6b9ff7da3aad>

მოსალოდნელია, რომ Rosatom-ის შვილოვბილი კომპანია Atomstroyexport-ი კვლავ ააშენებს ცენტრალურ ვიეტნამში ნინ ტუან-1 აესს, თუმცა, სავარაუდოდ, ამ პროექტის განხორციელებაც გადაიდება.

ვიეტნამის მთავრობა გეგმავდა, რომ 2030 წლისათვის ექსპლუატაციაში 13 რეაქტორი ექნებოდა, რაც ქვეყანას დამატებით 15 ათასი მეგავატის სიმძლავრეს მოუტანდა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გავლენას მოახდენს ექვსწლიანი დაგვიანება სხვა აესების მშენებლობის გრაფიკზე. Atomstroyexport-ის გარიგება ითვალისწინებს ნინ ტუან-1 აესის მშენებლობის მიმდინარე წელს დაწყებას და ობიექტი ექსპლუატაციაში 2020 წელს უნდა შევიდეს.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა 2012 წლის ნოემბერში ვიეტნამში ოფიციალური ვიზიტის დროს პირობა დადო, რომ ვიეტნამისათვის 10 მილიარდი აშშ დოლარის სესხს გაზრდიდა ნინ ტუან-1 აესის მშენებლობისათვის. 2013 წლის მაისში ვიეტნამის პრემიერის მოსკოვში ვიზიტის დროს კირიენკომ დაარწმუნა ზუნგი, რომ Rosatom-ი ვიეტნამში ყველაზე უსაფრთხო და თანამედროვე აესს ააშენებს“.

რუსულ-ვიეტნამური შეთხმება Atomstroyexport-ის მიერ ორი 1000-1200 მგვტ. VVER რეაქტორის მშენებლობას გულისხმობს.

ვიეტნამში ნინტუანის პროვინციაში ატომური სადგური მშენებლობაზე კონტრაქტი იაპონიასაც აქვს.<sup>13</sup>

## იაპონია მსოფლიოში პირველი იწყებს თხევადი ბუნებრივი აირის ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობას

იაპონია, რომელიც მსოფლიო თხევადი ბუნებრივი აირის (თბა) 40%-ს მოიხმარს, თბა-ს ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზრის ამოქმედებისთვის ემზადება. თბა-ს ფიუჩერსებით ვაჭრობა პირველად მოხდება. წინა წელს იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრმა განაცხადა, რომ 2014 წლის მარტამდე ამოქმედდებოდა თბა-ს ფიუჩერსული კონტრაქტები.



პირველ ეტაპზე იგეგმება ფიუჩერსების სპოტ ფასის დადგენა და სინგაპურთან ერთად ერთობლივი კომპანიის შექმნა, რომელიც საფუძველს დაუდებს ფასიანი ქაღალდების (დერივატივების) ბაზარს.

<sup>13</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 697, 22 January 2014, Rosatom's plans in Vietnam put on hold


ბუნებრივ აირზე მოთხოვნა იაპონიაში 2011 წლის ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე (აეს) მომხდარი ავარიის შემდეგ გაიზარდა, როცა ქვეყანამ ყველა აესი უსაფრთხოების მიზნით დახურა. ბოლო ორი წლის განმავლობაში თბა-ს იმპორტი 23%-ითა და 75%-ით გაიზარდა. ქვეყანამ 59.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების 87 მილიონი მეტრული ტონა თბა მოიხმარა წინა წელს.

ფიუჩერული ბაზრის დანერგვით იაპონია ცდილობს თბა-ზე ფასები შემცირებას, დარეგულირებას და მომავალში ფასების მყისიერი ზრდის თავიდან აცილებას. მაგალითისთვის, ერთი ბრიტანული თერმული ერთეული თბა-ს ფასი იაპონიაში 16-დან 18 აშშ დოლარამდე მერყეობს, მაშინ როდესაც იგივე რაოდენობის ფასი აშშ-ში 4-დან 5 აშშ დოლარამდეა.<sup>14</sup>

## ანალიტიკა

### ევროპა პოლონეთში ფიქალის გაზის კომერციული წარმოების დაწყებას უახლოვდება

ევროპამ გადალახა სირთულეები ფიქალის გაზის კომერციულ წარმოებასთან დაკავშირებით. San Leon Energy Plc-მ, ბუნებრივი აირის აღმომჩენმა კომპანიამ, რომელიც



მილიარდერ ჯორჯ სოროსს ეკუთვნის და Blackrock Inc-მა განაცხადეს, რომ პოლონეთის ფიქალის გაზის საბადოების პირველი ტესტური მოპოვება წარმატებული გამოდგა.

<sup>14</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=9804dbeb-cc6b-4078-8206-646309681d1a>

პოლონეთის ჩრდილოეთში, „ლევინოს“ ვერტიკალურ საბადოში ბალტიის ზღვის მახლობლად, ბუნებრივი აირი ამოიფრქვა ფიქალის ქანებიდან. ტესტურ რეჟიმში დღეში 60 000 კუბური ფუტის მოპოვება მიმდინარეობს. კომპანია უფრო პროდუქტიული ჰორიზონტალური თხრილიდან მოპოვების დაწყებას მიმდინარე წლის ივლისიდან გეგმავს.

San Leon-ის წარმომადგენლები კმაყოფილები არიან პირველადი მოპოვების მოცულობებით და აღნიშნავენ, რომ ვერტიკალური საბადოს მოპოვების ზრდა დღეში 400 000 კუბურ ფუტამდეა შესაძლებელი, რაც წელიწადში 4 მილიონი კუბ.მ.-ის ტოლია და პოლონეთის მოხმარების 0.03%-ს შეადგენს. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ლევინოს“ საბადო მომავალში კომერციულად მომგებიანი იქნება. ჰორიზონტალური მოპოვების დაწყების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება მოპოვება. კომპანიაში აცხადებენ, რომ აშშ-ში ჰორიზონტალური მოპოვებით 10-30 ჯერ მეტი ბუნებრივი აირის მოპოვება ხდებოდა, ვიდრე ვერტიკალურ საბადოში.

ისეთი ქვეყნები როგორებიც არიან პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა და რუმინეთი დაინტერესებულნი არიან საკუთარი ფიქალის ბუნებრივი აირის რესურსების ათვისებით, რათა შემაცირონ ენერჯის ხარჯი და იმპორტი. ევროპა ცდილობს შეამციროს ენერჯის ღირებულება და აღმოფხვრას დანახარჯის შეუსაბამობა აშშ-სთან, სადაც ფიქალის გაზის რეგულაციამ მკვეთრად შეამცირა ენერჯის ხარჯი.

აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის მონაცემებით, პოლონეთი ევროპაში ფიქალის გაზის უდიდეს მარაგს ფლობს. პოლონეთში ინვესტირებით დაინტერესებულია Marathon Oil Corp.-ი და Talisman Energy Inc.-ი. ზემოთ აღნიშნული „ლევინოს“ საბადოს გარდა, პოლონეთში მრავალი საბადოა, სადაც მომავალში ფიქალის გაზის კომერციული წარმოება იგეგმება.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=a452de68-a511-439d-b0f4-f593ce52e45f>